შპს AGE BATUM

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	
სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5-22
მმართველობის ანგარიშგება	23-28

შპს AGE BATUM

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს AGE BATUM (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, აქციონერთა კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ისეთი ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ცალკეულ ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის ცალკეულ ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ცალკეული ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ცალკეული მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეული მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეული მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- ცალკეულ მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2021 წლის 24 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

2021 წლის 24 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეული მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეული მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- ცალკეულ მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2021 წლის 24 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

2021 წლის 24 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

AGE

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს AGE BATUM დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ,,AGE BATUM"-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე".

„ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს" „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან" დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისგებლობებთან.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაბამის საფუძველს.

მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 1-ზე და შენიშვნა 3-ზე, რომლებშიც აღწერილია რომ 2020 წელს შპს ,,AGE BATUM"-მა დაასრულა ძირითადი გრძელვადიანი პროექტი ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, ახალი კონტრაქტი არ აქვს და შედეგად ის უფუნქციო კომპანია გახდა და შესაბამისად კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძვლის გარეშე. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან მიმართებაში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (ფასს) შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად,

გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქიონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორის დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტიციებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტიციებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგრიშგებასთან და მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგრიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

ლია ხარჩილავა (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-233875**).

შპს ,,ჯ.ბ. აუდიტის" სახელით

თბილისი, საქართველო

24 სექტემბერი, 2021 წელი

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგრიშგებასთან და მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგრიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

ლია ხარჩილავა (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-233875).

შპს ,,ჯ.ბ. აუდიტის" სახელით

თბილისი, საქართველო

24 სექტემბერი, 2021 წელი

შპს AGE BATUM

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლისთვის

ლარი	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	4	14,512,242	139,333,924
რეალიზებული საქონლის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	(12,130,150)	(97,672,474)
სრული მოგება		**2,382,091**	**41,661,450**
სხვა შემოსავალი/ხარჯი	6	499,512	(828,018)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(13,171,295)	(22,116,988)
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი	8	1,864,326	430,074
მოგება დაბეგვრამდე		**(8,425,365)**	**19,146,518**
მოგების გადასახადის ხარჯი		(540,622)	(1,217,825)
მოგება წლის განმავლობაში		**(8,965,987)**	**17,928,693**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად			
სხვა მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**(8,965,987)**	**17,928,693**

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 24 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

იავუზ დიქერ — *დირექტორი*

ქეთევან ძირკვაძე — *მთავარი ბუღალტერი*

შპს AGE BATUM

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31/Dec/2020	31/Dec/2019
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	-	1,256,991
გრძელვადიანი აქტივები		**-**	**1,256,991**
მარაგები	10	475,955	3,992,339
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	252,377	264,504
გადახდილი ავანსები		14,382	376,129
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	12	3,126,181	15,438,410
მიმდინარე აქტივები		**3,868,894**	**20,071,382**
სულ აქტივები		**3,868,894**	**21,328,373**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		12,271,494	- 2,593,673
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		- 8,965,987	17,928,693
სულ კაპიტალი		**3,305,506**	**15,335,021**
ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	563,388	4,692,441
საგადასახადო ვალდებულებები		-	1,300,912
მიმდინარე ვალდებულებები		**563,388**	**5,993,352**
სულ ვალდებულებები		**563,388**	**5,993,352**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**3,868,894**	**21,328,373**

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 24 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

იავუზ დიქერ — *დირექტორი*

ქეთევან ძირკვაძე — *მთავარი ბუღალტერი*

შპს AGE BATUM

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლისათვის

ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	**15,335,022**	**15,335,022**
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	**(8,965,987)**	(8,965,987)
განაწილებული დივიდენდი	-	**(3,063,526)**	(3,063,526)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	**3,305,508**	**3,305,508**

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 24 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

იავუზ დიქერ — *დირექტორი*

ქეთევან ძირკვაძე — *მთავარი ბუღალტერი*

შპს AGE BATUM

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლისათვის

	12/31/2020	12/31/2019
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში		
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	18,467,559	170,205,765
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(8,271,380)	(75,764,681)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(13,979,876)	(33,823,519)
გადახდილი გადასახადები	(8,056,421)	(32,106,987)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(11,833)	(50,951)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	*(11,851,951)*	*28,459,627*
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(225,429)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	1,845,190	243,466
მიღებული პროცენტები	29,140	64,683
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	*1,874,329*	*82,719*
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მოკლევადიანი სესხების აღება	-	273,400
მოკლევადიანი სესხების დაფარვა	-	(273,400)
მოკლევადიან სესხზე გადახდილი პროცენტები	-	(228)
გადახდილი დივიდენდები	(2,910,350)	(15,443,513)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	*(2,910,350)*	*(15,443,741)*
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	575,743	(430,711)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(12,312,229)	12,667,895
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	15,438,410	2,770,515
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	*3,126,181*	*15,438,410*

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 24 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

იავუზ დიქერ *დირექტორი*

ქეთევან ძირკვაძე *მთავარი ბუღალტერი*

შპს AGE BATUM

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლისთვის

ლარი	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	4	14,512,242	139,333,924
რეალიზებული საქონლის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	(12,130,150)	(97,672,474)
სრული მოგება		**2,382,091**	**41,661,450**
სხვა შემოსავალი/ხარჯი	6	499,512	(828,018)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(13,171,295)	(22,116,988)
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი	8	1,864,326	430,074
მოგება დაბეგვრამდე		**(8,425,365)**	**19,146,518**
მოგების გადასახადის ხარჯი		(540,622)	(1,217,825)
მოგება წლის განმავლობაში		**(8,965,987)**	**17,928,693**
სხვა სრული შემოსავალი			
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად		-	-
სხვა მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**(8,965,987)**	**17,928,693**

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 24 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

იავუზ დიქერ *დირექტორი*

ქეთევან ძირკვაძე *მთავარი ბუღალტერი*

შპს AGE BATUM

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31/Dec/2020	31/Dec/2019
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	-	1,256,991
გრძელვადიანი აქტივები		**-**	**1,256,991**
მარაგები	10	475,955	3,992,339
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	252,377	264,504
გადახდილი ავანსები		14,382	376,129
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	12	3,126,181	15,438,410
მიმდინარე აქტივები		**3,868,894**	**20,071,382**
სულ აქტივები		**3,868,894**	**21,328,373**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		12,271,494	- 2,593,673
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		- 8,965,987	17,928,693
სულ კაპიტალი		**3,305,506**	**15,335,021**
ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	563,388	4,692,441
საგადასახადო ვალდებულებები		-	1,300,912
მიმდინარე ვალდებულებები		**563,388**	**5,993,352**
სულ ვალდებულებები		**563,388**	**5,993,352**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**3,868,894**	**21,328,373**

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 24 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

იავუზ დიქერ *დირექტორი*

ქეთევან ძირკვაძე *მთავარი ბუღალტერი*

შპს AGE BATUM

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლისათვის

ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**15,335,022**	**15,335,022**
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	**(8,965,987)**	(8,965,987)
განაწილებული დივიდენდი	-	**(3,063,526)**	(3,063,526)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**3,305,508**	**3,305,508**

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 24 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

იავუზ დიქერ *დირექტორი*

ქეთევან ძირკვაძე *მთავარი ბუღალტერი*

შპს AGE BATUM

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლისათვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში	*12/31/2020*	*12/31/2019*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	18,467,559	170,205,765
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(8,271,380)	(75,764,681)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(13,979,876)	(33,823,519)
გადახდილი გადასახადები	(8,056,421)	(32,106,987)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(11,833)	(50,951)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	***(11,851,951)***	***28,459,627***
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(225,429)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	1,845,190	243,466
მიღებული პროცენტები	29,140	64,683
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	***1,874,329***	***82,719***
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მოკლევადიანი სესხების აღება	-	273,400
მოკლევადიანი სესხების დაფარვა	-	(273,400)
მოკლევადიან სესხზე გადახდილი პროცენტები	-	(228)
გადახდილი დივიდენდები	(2,910,350)	(15,443,513)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	***(2,910,350)***	***(15,443,741)***
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	575,743	(430,711)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(12,312,229)	12,667,895
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	15,438,410	2,770,515
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	***3,126,181***	***15,438,410***

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 24 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

იავუზ დიქერ *დირექტორი*

ქეთევან ძირკვაძე *მთავარი ბუღალტერი*

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „AGE BATUM“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა საქართველოში 2013 წლის 04 ივნისს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: 445426762.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: შავშეთის ქუჩა №6, შავშეთის ქუჩა №2/4, გოგებაშვილის ქუჩა №60, ბათუმი, საქართველო.

„კომპანიის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჰიდრო ელექტრო სადგურების მშენებლობა. კერძოდ, „კომპანიამ“ შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ დაკვეთით მაღალმთიან აჭარაში განახორციელა აჭარისწყლის ჰესების კასკადის გარკვეულ სამშენებლო სამუშაოები, რომელიც ცნობილია როგორც შუახევის 185 მეგავატიანი ჰიდროელექტრო სადგური. პროექტის შესრულების პერიოდი თავდაპირველი შეთანხმების მიხედვით განსაზღვრული იყო 2013-2017 წწ, ხოლო კონტრაქტის თავდაპირველი ღირებულება 216,220,000 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხა და პერიოდი შემდგომში რამოდენიმეჯერ დაკორექტირდა და გაიზარდა. 2017 წლის აგვისტოში დიდაჭარა-შუახევის სათავე ტუნელი და სხალთა-დიდაჭარის დამაკავშირებელი ტუნელები დაზიანდა, რამაც გაზარდა პროექტის დასრულების ვადა 2020 წლის ოქტომბრამდე, ხოლო პროექტის ღირებულება 336,190,506 აშშ დოლარამდე. ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიას ახალი დამკვეთი არ ჰყავს, შესაბამისად ფინანსური ანგარიშგებაც მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძვლის გარეშე.

„კომპანიის“ 100%-იანი წილის მფლობელია დღიდან დაფუძნებისა თურქეთში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება აგე ინშაათ ვე თიჯარეთ (0080066907).

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები განხილულია მე-16 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების დაცვით.

ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია გამოსაცემად 2021 წლის 24 სექტემბერს.

ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

„კომპანიის“ საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, „კომპანია“ დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზრები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას „კომპანიის“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბასსს-ის მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძვლის გარეშე, პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის პრინციპის თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. მოცემული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები მოყვანილია ქვემოთ.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს აღრიცხვის გარკვეული კრიტიკული შეფასებების გამოყენებას. ის ასევე ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიღებისას განახორციელონ მსჯელობები. საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მსჯელობების და სირთულის მაღალ დონესთან ან საკითხები, სადაც დაშვებები და გაანგარიშებები არსებითია ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია შენიშვნაში 3.

ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს ფუნქციონირებადობის დაშვების საფუძვლის გარეშე. რადგანაც აქტივები და ვალდებულებები არ რეალიზდება ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობით, ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები და ვალდებულებები ფუნქციონირებადობის დაშვების საფუძვლის გარეშე. აქტივების ღირებულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე და ვალდებულებების გამოსასყიდ ღირებულებამდე კორექტირებები ჩვეულებრივ მოითხოვება ფუნქციონირებადობის დაშვების საფუძვლის გარეშე მომზადებისას. გაურკვევლობებისთვის რომლებიც უკავშირდება მოვლენებს და პირობებს რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს კომპანიის შესაძლებლობაზე, რომ გააგრძელოს არსებობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, იხილეთ შენიშვნაში 3.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ა) უცხოური ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტა არის ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში

გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

ბ) ძირითადი საშუალებები

i) აღიარება და შეწყვეტა

ძირითადი საშუალებების აღსარიცხავად ,,კომპანია" იყენებს თვითღირებულების მოდელს.

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. როდესაც პერიოდულად ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლა ხდება ,,კომპანია" ასეთ ნაწილს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად სასარგებლო გამოყენების კონკრეტული ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. და მისი ხარჯის აღიარება ხორციელდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ჩანაცვლების ღირებულების სახით, აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

ii) ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ

ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრა იმ დაშვებით, რომ გარკვეული დროის შემდეგ („გარკვეული დრო" დამოკიდებულია ხელშეკრულების ვადებზე) მოხდება აქტივის გაყიდვა, ამიტომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მისი ეკონომიკური ვარგისიანობის ვადაზე ნაკლებია.

iii) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

გ) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადა შეიძლება იყოს განუსაზღვრელი ან შეზღუდული.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასვლისას ან როდესაც არავითარი მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ არის მოსალოდნელი აქტივის გამოყენებისა და შემდგომი გასვლის შემდეგ. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა აქტივის გასვლის წმინდა შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება შეწყდება. შემოსულობა არ კლასიფიცირდება ამონაგებად.

„კომპანია" შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივზე ამორტიზაციას არ წყვეტს მაშინაც, როცა არამატერიალური აქტივი არ გამოიყენება, გარდა ისეთი შემთხვევისა როცა ის ბოლომდეა ამორტიზირებული ან კლასიფიცირებულია გასაყიდად გამიზნულად ფასს 5-ის შესაბამისად.

დ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს. წარმოების თვითღირებულებასა და სხვა ხარჯებს,

რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

ე) ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება.

ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებისას, შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აღიარდება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იგივე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები ან შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისათვის.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს აფასებს ამორტიზებული ღირებულებით. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვისთვის გამოიყენება; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნესმოდელი. ბიზნესმოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების გამომუშავების მიზნით - მიუხედავად იმისა, კომპანია მიზნად ისახავს: (i) მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას აქტივებისაგან („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“) ან (ii) მიიღოს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ასევე აქტივების გაყიდვის შედეგად წარმოქმნილი ფულადი ნაკადები („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“), ან თუკი (i) და (ii)-დან არცერთი არ გამოიყენება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც „სხვა“ ბიზნეს მოდელის ნაწილი და ხდება შეფასება FVTPL-ის მიხედვით.

ბიზნესმოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) იმ ქმედებებთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე, რომელსაც კომპანია ახორციელებს შეფასების თარიღისთვის არსებულ პორტფელთან მიმართებაში დადგენილი მიზნის მისაღწევად. ფაქტორები, რომელთაც კომპანია ითვალისწინებს ბიზნესმოდელის განსაზღვრისას მოიცავს პორტფელის მიზანს და შედგენილობას, წარსულ გამოცდილებას იმის შესახებ თუ როგორ ხდება შესაბამისი აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღება, როგორ ფასდება და იმართება რისკები, როგორ ფასდება აქტივების ეფექტურობა და რა კომპენსაციას იღებენ მენეჯერები.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადის მახასიათებლები. იმის მიუხედავად, ბიზნეს მოდელი მოიცავს მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას აქტივებისაგან, თუ როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ასევე აქტივების გაყიდვის შედეგად წარმოქმნილი ნაკადების მიღებას, კომპანია განსაზღვრავს წარმოადგენს თუ არა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას (“SPPI”).

როდესაც ხელშეკრულების პირობები რისკისადმი განფენილია ან ვოლეტარულია, რაც შეუთავსებელია ძირითად სასესხო ხელშეკრულებასთან, ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ხდება FVTPL-ის მიხედვით. SPPI-ის შეფასება ხდება აქტივის საწყისი აღიარებისას და შემდგომში არ ექვემდებარება ახალ შეფასებას.

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო მთლიანად ცვლის პორტფელის მართვის ბიზნესმოდელს. რეკლასიფიკაციას სამომავლო შედეგების მოტანა შეუძლია და ხორციელდება ბიზნესმოდელის შეცვლიდან პირველივე საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში. საწარმოს არ შეუცვლია მისი ბიზნესმოდელი მიმდინარე და შესადარისი პერიოდების განმავლობაში და არ განუხორციელებია არცერთი რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის რეზერვი “ECL”-სთვის. კომპანია აფასებს პერსპექტიულ საფუძველზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL) იმ სავალო ინსტრუმენტებისთვის, რომელთა შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანია ახდენს ECL-ის შეფასებას და აღიარებს წმინდა ზარალს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების გაუფასურებიდან, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ECL-ის შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილი ოდენობის თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასების გზით, (ii) ფულის დროით ღირებულებასა და (iii) წარსულში მომხდარ მოვლენებზე, მიმდინარე პირობებსა და მომავალ პროგნოზებზე სრულყოფილად გონივრულ და დადასტურებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას, რომელიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისათვის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს იყენებს სავაჭრო მოთხოვნისთვის და ფულისა და ფულის ეკვივალენტებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებით (მოთხოვნები შეიძლება დაჯგუფდეს გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, მომხმარებლის რეიტინგის, პირობის ან სავაჭრო კრედიტის დაზღვევის მიხედვით).

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა ა) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარადაა ამოწურული, ან ბ) კომპანიას გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან ვალდებულების გასვლის შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული და (i) ასევე ასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს ან (ii) ფლობის

ყველა რისკს და სარგებელს და არც ასხვისებს და ინარჩუნებს, მაგრამ არც მათზე კონტროლს იტოვებს. კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ აქვს აქტივის არადაკავშირებულ მესამე მხარეზე სრულად გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები - შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როცა ისინი ამოიწურება (ანუ, როცა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულება მოიხსნება, გაუქმდება ან ვადა გაუვა). სავალო ინსტრუმენტის გაცვლა ჯგუფსა მის თავდაპირველ გამსესხებელს შორის, არსებითად განსხვავებული პირობებით, ისევე როგორც არსებითად მოდიფიცირებული პირობებით და მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებებისა, აღირიცხება როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების შეწყვეტა და აღიარდება ახალი ფინანსური ვალდებულება. პირობები არსებითად განსხვავებულია თუ დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირებული ფულადი ნაკადები, ახალი პირობებით, მოიცავს გადახდილ საკომისიოს და გამოკლებულ ნებისმიერ მიღებულ საკომისიოს და დისკონტირებულია თავდაპირველი დისკონტირების განაკვეთის, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება დისკონტირებული დღევანდელი ღირებულება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტის გაცვლა ან პირობების მოდიფიკაცია აღირიცხება როგორც შეწყვეტა, ნებისმიერი დარიცხული ხარჯი ან საკომისიო აღიარდება როგორ შეწყვეტისას წარმოშობილი მოგება ან ზარალი. თუ გაცვლა ან მოდიფიკაცია არ აღირიცხება შეწყვეტად, ნებისმიერი დარიცხული ხარჯი ან საკომისიო დააკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, „კუმულაციური catch up“ მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება ან ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება კაპიტალის ოპერაციას მფლობელებთან.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებაში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) ვალდებულების შეუსრულებლობა და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

ვ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

ზ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით და შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თ) გადახდილი ავანსი.

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივისშესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება ან ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება ან ზარალში.

ი) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად „კომპანიას“ აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხების განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აისახება, როგორც ფინანსური ხარჯი. 2020 წლის საანგარიშო პერიოდში „კომპანიას“ აღიარებული აქვს სასამართლო დავის შედეგად თანამშრომლისთვის შესაძლო საკომპენსაციო ხარჯის ვალდებულება ანარიცხის სახით (იხ. შენიშვნა 15).

კ) გადასახადები

i) მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯნება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

iii) საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

ლ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება.

ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს ფუნქციონირებადობის დაშვების საფუძვლის გარეშე. ამაზე მსჯელობისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გააანალიზა ფინანსური ბაზრების მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

რადგან ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის დაშვების საფუძვლის გარეშე, აქტივების და ვალდებულებების ღირებულება მიახლოებულია მოსალოდნელ წმინდა სარეალიზაციო/გამოსასყიდ ღირებულებას და მათტვის არ ყოფილა არსებითი კორექტირების საჭიროება 2020 წლის 31 დეკემბრისათვის.

მ) შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. „კომპანიის“ ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად.

ნ) ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

ო) ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ

მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- დამამძიმებელი ხელშეკრულებები – ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის

კორექტირებები).

- საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმა - ფაზა 2 (ფასს 9-ის, ბასს 39-ის, ფასს 7-ის, ფასს 4-ის და ფასს 16-ის კორექტირებები).

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა (ფასს 16-ის კორექტირებები).

- ძირითადი საშუალებები - შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე (ბასს 16-ის

კორექტირებები).

- კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაცია (ფასს 3-ის კორექტირებები).

- ვალდებულებების მოკლე ან გრძელვადიანად კლასიფიცირება (ბასს 1-ის კორექტირებები).

- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17-ის სადაზღვევო ხელშეკრულებების კორექტირებები

4. შემოსავლები

ლარი	12/31/2020	12/31/2019
შპს "აჭარისწყალი ჯორჯიაზე" შესრულებული სამუშაოების მიწოდება	14,185,396	139,271,379
სხვა საოპერაციო შემოსავლები	326,846	62,546
სულ შემოსავლები	**14,512,242**	**139,333,924**

5. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	12/31/2020	12/31/2019
ძირითადი და დამხმარე მასალების დანახარჯი	(649,852)	(11,261,467)
შესრულებული სამუშაოები	(4,952,637)	(43,138,276)
შრომის ანაზრაურება	(2,983,149)	(24,902,685)
ამორტიზაცია და ცვეთა	(364,579)	(2,597,028)
იჯარა	(1,356,428)	(4,813,727)
კომუნალური ხარჯი	(218,001)	(1,264,125)
დაზღვევა	(31,056)	(300,946)
ტექნიკის რემონტის ხარჯი	(575,783)	(4,358,981)
საწვავ-საპოხი მასალების ხარჯი	(706,107)	(3,087,639)
სპეც-ტანსაცმლის, თეთრეულის ხარჯი	(25,710)	(324,780)
ტრანსპორტირების ხარჯები	(81,765)	(771,459)
დაცვის ხარჯი	(185,085)	(296,949)
საგარანტიო მომსახურება	-	(537,157)
რეალიზებული საქონელი	-	(17,255)
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	**(12,130,150)**	**(97,672,474)**

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	12/31/2020	12/31/2019
შრომის ანაზრაურება	(12,704,289)	(21,167,875)
ამორტიზაცია და ცვეთა	(25,106)	(115,759)
იჯარა	36,220	(43,302)
საკანცელარიო ხარჯი	(1,195)	(20,034)
სამეურნეო ხარჯი	(36,089)	(90,270)
კომუნალური ხარჯი	(4,010)	(1,443)
მივლინების ხარჯი	(4,730)	(520)

კომუნიკაციის ხარჯი	(43,359)	(117,484)
კომპიუტერის ხარჯი	(1,856)	(11,943)
საკონსულტაციო ხარჯები	(116,229)	(209,584)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	-	(4,365)
უიმედო ვალი	-	(34,846)
ბანკის საკომისიო	(5,835)	(22,635)
საგადასახადო ხარჯი/ჯარიმა	-	(59,384)
ადმინისტრაციული ჯარიმა	-	(20,980)
სასამართლო დავებზე ანარიცხები	(183,490)	-
სხვადასხვა ხარჯები	(81,326)	(196,563)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**(13,171,295)**	**(22,116,988)**

7. სხვა შემოსავალი/ხარჯი

ლარი	12/31/2020	12/31/2019
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალებების	976,030	(864,945)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(476,518)	36,927
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	**499,512**	**(828,018)**

8. ფინანსური შემოსავალი/ხარჯი

ლარი	12/31/2020	12/31/2019
საპროცენტო შემოსავალი	29,140	64,683
საპროცენტო ხარჯი	-	(557)
კურსთაშორის სხვაობიდან წმ. შემოსავალი/ზარალი	1,835,187	365,948
სულ ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	**1,864,326**	**430,074**

9. ძირითადი საშუალებები

ლარი	ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	დამხმარე ინვენტარი და მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	ჯამი
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	***587,871***	***20,825***	***248,259***	***130,859***	***2,796***	***266,380***		***1,256,991***
მიღებულია 2020 წლის საანგარიშო პერიოდში								-
დარიცხული ცვეთა	(180,461)	(7,349)	(80,391)	(42,183)	(867)	(78,285)		(389,535)
გასული	(240,444)	(11,721)	(141,449)	(80,298)	(1,462)	(151,153)		(626,528)
გრძელვადიანი აქტივებიდან მიმდინარე აქტივებში გადატანა	(166,966)	(1,755)	(26,419)	(8,379)	(468)	(36,942)	240,928	(240,928)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	***240,928***	**-**

10. მარაგები

ლარი	12/31/2020	12/31/2019
სამშენებლო მასალები	11,469	470,989
მანქანის და ტექნიკის ნაწილები	190,490	460,791
დაუმთავრებელი წარმოება	-	2,998,904
საწვავი და საპოხი მასალა	-	17,867
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	273,995	43,788
სულ მარაგები	**475,955**	**3,992,339**

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

ლარი	12/31/2020	12/31/2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	15,566	264,504
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	204,856	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	14,382	376,129
საეჭვო ვალების ანარიცხები	31,954	-
სულ მოთხოვნები	**266,758**	**640,633**

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი

ლარი	12/31/2020	12/31/2019
ფულადი სახსრები ლარში	58,171	308,970
ფულადი სახსრები დოლარში	3,063,199	15,128,180
სულ ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	**3,121,369**	**15,437,150**
ნაღდი ფული ლარში	4,811	1,259
სულ ნაღდი ფული	**4,811**	**1,259**

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	12/31/2020	12/31/2019
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(490,646)	(2,528,938)
მიღებული ავანსები	(59,094)	(113,785)
გადასახდელი ხელფასები	(13,648)	(2,049,718)
საგადასახადო ვალდებულებები	-	(1,300,912)
სულ ვალდებულებები	**(563,388)**	**(5,993,352)**

14. რისკების მართვა

ა) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) რისკების მართვის სტრუქტურა

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან და საინვესტიციო ქაღალდებიდან.

საკრედიტო რისკის გავლენა

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკზე დამოკიდებულებას. საკრედიტო რისკის მიმართ მაქსიმალური დამოკიდებულება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის იყო შემდეგი:

	საბალანსო ღირებულება	
ლარი	12/31/2020	12/31/2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	266,758	640,633
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	3,126,181	15,438,410
	3,392,939	**16,079,043**

დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის „კომპანისეული“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე - სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

ფულადი სახსრების დიდი ნაწილი (90 %) განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკებში, რომელიც ასევე ამყარებს „კომპანიის“ ლიკვიდურობას.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	საბალანსო ღირებულება	
ლარი	12/31/2020	12/31/2019
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(563,388)	(5,993,352)

ე) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ვ) კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, „კომპანია“ არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. „კომპანიის“ კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

15. პირობითი ვალდებულებები

ა) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიცილაური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომელიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა

საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას“ დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვადლებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიცილაური აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი გავლენა (იმ შემთხვევაში, თუ უწყებები წარმატებით განახორციელებენ მათ ინტერპრეტაციებს) შესაძლოა მნიშვნელონი იყოს.

ბ) სასამართლო დავები და სარჩელები

სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას სხეულის დაზიანების შედაგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს მიმდინარე სამართლებრივ საქმეთწარმოებას, რასთან დაკავშირებითაც კომპანიას აღიარებული აქვს შესაძლო ზარალის ანარიცხი 183 490 ლარი.

გ) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება. „კომპანია“ პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „კომპანიას“ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან ან გარემოს აღდგენასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 ,,დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებულია სახელფასო ხარჯებში (იხ. მე-6 შენიშვნა):

ოპერაციები მმართველ რგოლთან

ლარი	12/31/2020	12/31/2019
ხელფასი და ბონუსები	9,177,254	7,207,685

ოპერაციები დამფუძნებელთან

ლარი	12/31/2020	12/31/2019
სს აგე ინშაათ ვე თიჯარეთ		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (საქონლის რეალიზაცია)	68,092	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (იჯარა)	1,047,536	4,249,667
მოკლევადიანი სესხი	-	273,400
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (საგარანტიო მომსახურება)	655,531	537,157
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (საქონლის და ძირითადი საშუალებების შეძენა)	592,111	14,341,502
გადახდილი ავანსი (ნაშთი)		7,581
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (ნაშთი)	282,901	383,204

17. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

სხვა მოვლენები

2020 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 1 563 947 ლარის დივიდენდი. ასევე, გაყიდული აქვს დარჩენილი მიმდინარე აქტივების დიდი ნაწილი.

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

შპს „AGE BATUM“, საქართველოს მთავრობის მხრიდან წარმოდგენილი ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და შპს „აჭარის წყალი ჯორჯია“ კომპანიას შორის ხელმოწერილი დოკუმენტი 185 MW შუახევის (მაღალმთიან აჭარაში) ჰიდროელექტრო სადგურის პროექტის სამშენებლო სამუშაოების შესრულებისათვის, საქართველოს მოქმედი კანონის ფარგლებში 04.06.2013 წელს შეიქმნა და დღეის მდგომარეობით მოქმედი შპს სამშენებლო სამუშაოებთან ერთად, ზემოთ აღნიშნული პროექტის მსვლელობისას, პროექტის ჰიდრომექანიკური, ელექტრომექანიკური, ავტომატიზაციისა და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების გაყვანაც შპს „AGE BATUM“-ის დაქვემდებარებაშია. კომპანიის გენერალური დირექტორის სახით წარმომადგენელი ბატონი იავუზ დიქერია, კომპანიის იურიდიული მისამართი საქართველო, ქალაქი ბათუმი, გოგებაშვილის ქუჩა N: 60. შპს AGE BATUM-ის დამფუძნებელი კომპანია, 100 % წილის მფლობელი სს აგე ინშაათ ვე თიჯარეთ (AGE İNŞAAT VE TİCARET A.Ş.)-ია, რომლის სათაო ოფისი ანკარა/თურქეთშია. დამფუძნებელ კომპანიას, დაარსებიდან დღემდე თურქეთის სამშენებლო სეგმენტზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

შპს AGE BATUM-ი ახორციელებს მრავალ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, როგორიცაა კაშხალი და მარეგულირებელი, წყლის და მაგისტრალური გვირაბები, დამაკავშირებელი გზები, ელექტროსადგურების შენობები, ასევე მრავალი მსგავსი ინფრასტრუქტურლი პროექტები, დამატებით აწარმოებს რიგი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვასა და მშენებლობას, როგორიცაა ელექტრომექანიკური, ჰიდრომექანიკური, ოპტიკურ-ბოჭკოვანი დაკაბელება.

კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანიამ 2020 წლის ბოლოს დაასრულა ძირითადი დამკვეთის - შპს „აჭარის წყალი ჯორჯია“-ს სამუშაოები, რომელიც მოიცავდა შუახევის 185 მეგავატიანი ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობას, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა.

AGE BATUM-ს ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის არ ჰყავს დამკვეთი და ვეღარ აგრძელებს ეკონომიკურ საქმიანობას.

საქართველოს აქვს პოტენციალი 25 ათასი ნაკადის, 5 ათასი მგვტ-ის სრული მოცულობის 20 ათასი მეგავატი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის. ქვეყანას, რომელსაც აქვს ისეთი მდიდარი ჰიდრომეტექნიკური რესურსები, შესაბამისად აქვს ინფრასტრუქტურული პროექტების პოტენციალი. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გეოგრაფიული სიახლოვე არსებობს, ქვეყანა მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სთავაზობს თურქულ კონტრაქტორებს. AGE BATUM გააჩნია შესაბამისი გამოცდილება და მზარდი ინფრასტრუქტურის გამოცდილების გათვალისწინებით, კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა, განახორციელოს დიდი და რთული კაშხალის და გვირაბის პროექტების მშენებლობა.

კომპანია ცდილობს აიღოს ახალი პროექტი. დამატებით, კომპანიის საქმიანობაზე გავლენა მოახდინა ახალი კორონავირუსის (COVID-19) ეპიდემიურმა აფეთქებამ, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში გამოაცხადა გლობალურ პანდემიად. ეს მოვლენები და მდგომარეობა მიგვითითებს რომ არსებობს მნიშვნელოვანი გარემოებები რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს კომპანიის როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს არსებობას.

ფინანსური მაჩვენებლები

ცხრილი (ლარში)	2020	2019
წმინდა საბრუნავი კაპიტალი*	3,305,506	14,078,030
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,126,181	15,438,410
სულ აქტივები	3,868,894	21,328,373
სესხები	-	-
ვალდებულებები სულ	563,388	5,993,352
საკუთარი კაპიტალი	3,305,506	15,335,021

რისკების მიმოხილვა

ფირმა იღებს შემოთავაზებებს სამშენებლო პროქტის მოწოდების თაობაზე 185 მგვტ შუახევის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის სპეციფიკაციების შესაბამისად. მზადდება ცხრილები მიღებული შემოთავაზებს ფასების შედარებისათვის. მათ შორის, ფასის შეთავაზება, მიწოდების დრო, მიწოდების უწყვეტობა, გადახდის პირობები და კრიტერიუმების შესაბამისობა, ამის შემდეგ ხდება შესაბამისი მომწოდებლის არჩევა. კომპანია ასევე ითვალისწინებს მსოფლიო ბაზრების ფასებს მატერიალური და მომსახურების ხელმისაწვდომობის მიხედვით. ჩვენი უმთავრესი მიზანია დაიცვას ყველა ჩვენი ვალდებულება ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, უახლესი ტექნოლოგიებისა და მასალების გამოყენებით მაქსიმალური ეფექტურობისა და დროთა განმავლობაში, ხოლო ფინანსური იმპულსის პარალელურად, ჩვენი უმნიშვნელოვანესი მიზანია მდგრადი ზრდის გზების დაცვა ჩვენი სოციალური და ეკოლოგიური ზემოქმედების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას ყავს ერთადერთი დამკვეთი, გამოცდილებიდან და დიდი პროფესინალიზმიდან, ის ბაზარზე ინარჩუნებს მდგრად მდგომარეობას ელექტრო ჰესების მშენებლობაში.

შპს „AGE BATUM“-ს არ გააჩნია საკრედიტო ვალდებულებები, მას ჰყოფნის საკუთარი საბრუნავი ფულადი სახსრები კომპანიის წინაშე დასმული ვალდებულებების შესრულებაში. ასევე არ განიცდის სავაჭრო მოთხოვნების მიღებას, დამკვეთის მიერ. ყოველივე აქედან გამომდინარე კომპანიას აქვს შესაძლებლობა მართოს საბრუნავი ფულადი სახსრები პროექტის მოთხოვნილების შესაბამისად.

კომპანიას არა აქვს ჩატარებული მიმოხილვა პროდუქტის/მომსახურების კვლევა განვითარებაზე შპს „ AGE BATUM“-ს სრული მოგების კოეფიციენტი 2019 წელს შეადგენდა 30 %, 2020 წელს კი 16%-ს.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება და შიდა პოლიტიკა

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე, სტრუქტურის სათავეში გვევლინება დირექტორი იავუზ დიქერი. კომპანიის არსებული ქვედანაყოფები ექვემდებარებიან დირექტორს ან/და ზედამხედველ

სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს ქვედანაყოფები არიან პასუხისმგებლები ბიზნესის ოპერაციულ საქმიანობაზე.

საერთაშორისო რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვისათვის კომპანიაში შექმნილია პოლიტიკები, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და ყოველგვარ დარღვევაზე ადეკვატურ რეაგირების წესებს.

პერსონალის შერჩევა

კომპანიის პერსონალთა შერჩევა შემდეგნაირად ხდება - ტექნიკური ჯგუფის წარმომადგენლები თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეებით არის დაკომპლექტებული ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხოლო დამხმარე მუშახელი ძირითადად ადგილობრივი მოსახლეები არიან. კომპანიის დეპარტამენტებისთვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის.

მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და განახლების პროცესში გადამწყვეტი მნიშვმელობა ენიჭება თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნას და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოხატვას, რათა მოხდეს შესარულებელი სამუშაოს სრულად და ოპერატიულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

შპს AGE BATUM-ს არ გააჩნია სამეთვალყურეო საბჭო, კომპანიის შიდა განყოფილებების მეშვეობით ხდება კონტროლი შესრულებულ ან/და შესასრულებელ ოპერაციებზე, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, იერარქიული სტრუქტურის მიხედვით.

სუბიექტის მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისა და ფუნქციონირების მიმოხილვა

კომპანიის მმართველობითი ორგანოს წევრები არიან კონსულტანტი საწარმოს მმართველობისა და სამშენებლო დარგში სელაჰათთინ ონენი, გენერალური დირექტორი (იავუს დიქერ), ტექნიკური კოორდინატორი (სეზაი აზიზოღლუ), პროექტის დირექტორი (ამჟამად ზექი ილმაზ, ადრე ნაზიმ ქურდოღლუ), აღმასრულებლი დირექტორი (ილჰან აზიზოღლუ), ფინანსური მენეჯერი ილჰან აზიზოღლუ.

თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები შემდეგნაირადა არის გადანაწილებული:

- გენერალური დირექტორი: კომპანიის შიდა ოპერაციების კონტროლი;
- ტექნიკური კოორდინატორი: პერსონალისა და ფინანსური ანგარიშგების კონტროლი;

- პროექტის დირექტორი: პროექტთან დაკავშირებული ყველა სახის თემის განხილვა, გადაწყვეტილების მიღება, დამსაქმებელთან კომუნიკაცია;
- აღმასრულებლი დირექტორი: შიდა ოპერაციებისა და პერსონალის მართვა;
- ფინანსური მენეჯერი: ბანკი, გადარიცხვები, ბიუჯეტირება, ყველა სახის ფინანსური ოპერაციები;
- კონსულტანტი საწარმოს მმართველობისა და სამშენებლო დარგში: მშენებლობის მიმდინარეობისას სამშენებლო პროცესების მონიტორინგი, საწარმოს მმართველობისათვის არქიტექტურულ, სამშენებლო დაგეგმარებასთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევა, საწარმოს სწორი მართვის დაგეგმარება და შესაბამისი კონსულტაციების გაცემა.

კომპანიის წესდება არ შეცვლილა. წევრების დანიშვნასთან და შეცვლასთან დაკავშირებით რაც შეეხება, მხოლოდ მმართველი ორგანოს წევრს უნდა ჰქონდეს გამოცდილება, განათლება და შესაბამისი კვალიფიკაცია.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესებთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისიტემის მიმოხილვა

შპს AGE BATUM-ს გააჩნია იერარქიული სტრუქტურა. ორგანიზაციის სტრუქტურული მონახაზის მიხედვით ყველა განყოფილება თანმიმდევრულად ექვემდებარება ერთმანეთს. ყევლა ის პროცედურა, რასაც ასრულებს შპს AGE BATUM-ი, ზემდგომი განყოფილების დასტურის საფუძველზე ხდება. ყველა შესრულებულ ან/და შესასრულებელ ოპერაციას თან ერთვის შესაბამისი განყოფილების უფროსის მოთხოვნის აქტი ხელმოწერილი, რის საფუძველზეც სრულდება ოპერაცია. მაგალითად, სამშენებლო ობიექტიდან, კერძოდ კომპანიის საწყობიდან რომელიმე მასალის შესყიდვისათვის, დგინდება მოთხოვნის ფორმა, სადაც ხელს აწერს საწყობის გამგე და იმ განყოფილების უფროსი ვისგანაც მოთხოვნა წამოვიდა, მოთხოვნის აქტის საფუძველზე შესყიდვების მენეჯერი აწარმოებს შესაბამისი ფირმის ძიებასა და მასალების შესყიდვას, მასალების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმეტითა (ანგარიშფაქტურა, ზედნადები, ინვოისი, ხელშეკრულება) და მოთხოვნის ფორმით ფინანსური განყოფილება აწარმოებს გადარიცხვას, რომელსაც უდასტურებს კომპანიის პროექტის დირექტორი ან/და გენერალური დირექტორი. აღნიშნული ჯაჭვური ოპერაციების საშუალებით კომპანიაში ჩამოყალიბებულია რისკის მართვის სისტემა.

შპს „ AGE BATUM“-ს დამფუძნებელი თურქული კომპანიაა, რომლის უფლება-მოვალეობანი მოწესრიგებულია კომპანიის წესდებით. პარტნიორთა კრება კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა, პარტნიორი უფლებამოსილია მართოს კომპანია, როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის მიერ. პარტნიორთა კრება იმართება წელიწადში ერთხელ, სამეურნეო წლის დამთავრებიდან ორი თვს ვადაში.

არაფინანსური ინფორმაცია

კომპანიის საქმიანობის რისკების ანალიზი

კომპანიის საქმიანობის რისკის მიზანი არის - ორგანიზაციის მიზნების განხორციელების გაადვილება, კომპანიის ღირებულების შექმნის პროცესზე წვლილის შეტანასთან ერთად შესაძლო დანაკარგების თავიდან აცილება, ჩვენი პოლიტიკაა კორპორაციული მართვის პროცესის ინტეგრირება არსებული კორპორაციული მართვის პროცესთან, მომავალი მოვლენების იდენტიფიცირება, რითაც შეიძლება წინასწარ დადგინდეს დადებითი ან უარყოფითი ზემოქმედება, განავითაროს ეფექტიანი სტრატეგია მოვლენების გამოვლენისა და მართვისათვის, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად მოახდენს გავლენას ეს მოვლენები ორგანიზაციაზე.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიღება. შპს AGE BATUM მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებას თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორ არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყეტილებებზე. ამ კუთხით კომპანიას გააჩნია შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც ცდილობს აღმოფხვრას ყველა შეუსაბამობა ორგანიზაციის შიდა პოლიტიკასთან და კანონი მოთხოვნებთან.

კომპანიის შიდა პოლიტიკა

კომპანიის ბიზნესი ხასიათდება თავისი სპეციფიკით და მას არეგულირებს საქართველოში მოქმედი შემდეგი კანონით და კანონქვემდებარე აქტებით:

- საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების“ შესახებ;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“; „წყლის ანგარიშგება“-ს ყოველი წლის ბოლოს კომპანია წარუდგენს საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #42 „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #582 „ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური ანგარიში“; ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმის წარდგენას კომპანია ახდენს წელიწადში ერთხელ, საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, ელექტრონულად (http//emoe. Gov.ge) მეშვეობით.

იმ საკითხებზე, რაც ვერ რეგულირდება ზემოთ ხსენებული კანონით და ნორმატიული აქტებით, კომპანიას შემუშავებული აქვს თავისი შიდა პოლიტიკა, რომელიც ასევე ეყრდნობა საქართველოში მოქმედ ყველა საკანომდებლო აქტს.

საქმიანობის რისკების ანალიზი

კომპანია 185 MW შუახევის ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობს ფარგლებში მასალების / მომსახურების შესყიდვასა და წარმოებას ახორციელებს საკუთარი ხარისხის მართვის სისტემების გამოყენებით. ძირითადად კომპანია იყენებს ISO 9001: 2008, ISO 14001: 2004, და OHSAS 18001: 2007 საერთაშორისო სერტიფიკატებს, რომლის მფლობელია AGE İNŞAAT VE TİCARET A.Ş ჩვენი მთავარი კომპანია.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფებამოსილი პირი - დირექტორი და მთავარი ბუღალტერი

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

საქმიანობის რისკების ანალიზი

კომპანია 185 MW შუახევის ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობს ფარგლებში მასალების / მომსახურების შესყიდვასა და წარმოებას ახორციელებს საკუთარი ხარისხის მართვის სისტემების გამოყენებით. ძირითადად კომპანია იყენებს ISO 9001: 2008, ISO 14001: 2004, და OHSAS 18001: 2007 საერთაშორისო სერტიფიკატებს, რომლის მფლობელია AGE İNŞAAT VE TİCARET A.Ş ჩვენი მთავარი კომპანია.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი და მთავარი ბუღალტერი

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი: